ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1613966

ნომერი: AR1263801

თარიღი : 21.11.2014

გაცემის თარიღი : 27.11.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/16) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მეგრელიშვილი პ/ნ 01012023404
- თბილისი

ორგანიზაცია:

- შპს "შუქურა" კოდი: 209442487

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე ასახული საპროექტო ნაგებობის მითითებული გაბარიტული ზომები არ შეესაბამება ქ. თბილისის სარეგისტრაციო ზონის საკადასტრო რუკაზე გადამოწმებულ მიწის ნაკვეთის იმ ნაწილის სიგრძე სიგანეს რა ნაწილშიც "ფაილის მიმაგრება"-ს ველში ატვირთული დოკუმენტის მიხედვით ხდება აღნიშნული ნაგებობის განთავსება. საჭიროა დოკუმენტაცია მოიყვანოთ შესაბამისობაში რეალურ მდგომარეობასთან, წარმოადგინოთ საკადასტრო გეგმა ზედ საპროექტო ნაგებობის კონტურის დატანით და გაბარიტული ზომების მითითებით. ასევე აღნიშნულის შესაბამისად დააკორექტირეთ საპროექტო ფოტომონტაჟი. გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული ნაგებობა მთლიანად უნდა განთავსდეს მიწის ნაკვეთის (ს.კ. 01.11.19.001.029) საკადასტრო საზღვრებში.

ამასთანავე ვინაიდან სამსახურში პარალელურად შემოსულია AR1264968 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სარეკრეაციო ზონა 2–ის ფუნქციის შეცვლას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით და ვინაიდან საპროექო შენობა/ნაგებობის მშენებლიობა ხორციელდება იმ ტერიტორიაზე, რომლის ზონის ცვლილებასაც ითხოვთ, სამსახური წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილ საწყობის ფუნქციის მქონე შენობა–ნაგებობის მშენებლობაზე ვერ იმსჯელეს იქამდე სანამ არ დასრულდება AR1264968 განცხადების საქმის წარმოება.

მხოლოდ ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილი საკითხის განმეორებით განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.